ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ კოლეჯ „მერმისში“ „კულინარიის ხელოვნების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის შედეგების ცვლილების და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ირაკლი სალუქვაძე

წევრები: ნანა შათირიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: კოლეჯი „მერმისი“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: სსიპ

საიდენტიფიკაციო კოდი: 209467646

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

■ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

II. საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ 2023 წლის 23 მაისს გამოცემული MES 6 23 0000584045, ბრძანების თანახმად შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფს დაევალა სსიპ კოლეჯ „მერმისში“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კულინარიის ხელოვნება“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის - პროგრამების სპეციფიკისა და დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ა.) და ბ.ბ) კომპონენტების შესრულების შემოწმება.

ექსპერტების ჯგუფმა შეისწავლა სსიპ კოლეჯ „მერმისში“ მიერ განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ჩამოაყალიბა დამაზუსტებელი შეკითხვები ღიად დარჩენილი საკითხებისთვის, შეაჯერა განხილული საკითხები და შეიმუშავა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეთანხმებული იქნა კოლეჯის ადმინისტრაციასთან.

ექსპერტებმა 2023 წლის 30 მაისს განახორციელეს ვიზიტი დაწესებულებაში, გაესაუბრნენ კოლეჯის ადმინისტრაციას, პროფესიული განათლების მასწავლებლებს, პროგრამის ხელმძღვანელს. ვიზუალურად დაათვალიერეს სასწავლო გარემო. ვიზიტის პერიოდში მოდულის - საწარმოო პრაქტიკის ფარგლებში ექსპერტებმა მოინახულეს ორი პარტნიორი ორგანიზაცია შ.პ.ს. „სამი ჯგუფი“ (სასტუმრო ციტრუსი) და შ.პ.ს. „დაბი ჯგუფი ჯორჯია“ (სასტუმრო ბილთმორი), ასევე დისტანციურად გაესაუბრნენ შ.პ.ს. „ჯინო პარკს“, შ.პ.ს. „თავადურს“ და შ.პ.ს „ფიქრის გორას“ წარმომადგენლებს. თითოეულმა მათგანმა გამოთქვა მზაობა კოლეჯთან თანამშრომლობის ფარგლებში პროფესიული სტუდენტების სწავლების შესახებ. ვიზიტის ბოლოს ექსპერტებმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნეს მიგნებები.

ექსპერტთა შეფასებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე „კულინარიის ხელოვნება“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის და სწავლის შედეგების ცვლილების განაცხადი 2.1 და 2.2 კომპონენტთან მიმართებაში შეფასდა სრულ შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

-

IV. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

-

V. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

-

VI. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

-

VII. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

2.2.1.1 – 101 აუდიტორიაში უზრუნველყოს გამწოვის სწორ პოზიციაზე მონტაჟი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

VIII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	„კულინარიის ხელოვნება“
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კულინარიის ხელოვნებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1013
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	დამტკიცება - კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 6 მარტი N04-71 ბრძანება ცვლილება - კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 11 მაისის N04-101 ბრძანება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, დავით გურამიშვილის ჩიხი N9ა
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური/დუალური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	120 მოდულური, 27 დუალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში)*.	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	86
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	101

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

IX. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება**	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული	სრული
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული	სრული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მიერ განაცხადით წარმოდგენილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის მიზანშეწონილობის დასაბუთება. განაცხადში აღნიშნულია, რომ „კულინარიის ხელოვნების“ პროგრამა კოლეჯის მიერ განხორციელებულ პროგრამებს შორის, შრომის ბაზრისა და მოსახლეობის მხრიდან ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადია (ყოველწლიურად რეგისტრირებულ აპლიკანტთა რიცხვი 1 ადგილზე 10-დან 15-მდე მერყეობს). აღნიშნულის გადასამოწმებლად ექპერტებმა მოითხოვეს წინა მიღებების სტატისტიკა, რომლითაც დადასტურდა აღნიშნული გარემოება, კერძოდ: 2021 წელს გამოცხადებული იყო 19 ადგილი და რეგისტრირებული იყო 278 აპლიკანტი, ხოლო 2022 წელს გამოცხადებული იყო 64 ადგილი და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

რეგისტრირებული იყო 578 აპლიკანტი. აღნიშნული მაჩვენებლები მეტყველებს, რომ „კულინარიის ხელოვნების“ პროგრამაზე მოთხოვნა დიდია. ექსპერტებმა შრომის ბაზრის მოთხოვნის შესამოწმებლად გამოითხოვეს დამატებითი დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც, კოლეჯის წარმომადგენლებმა, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული ვაკანსიები და უშუალოდ კოლეჯის წარმომადგენლებთან სტუდენტების დასაქმების მიზნით შემოსული წერილები წარმოადგინეს. ასევე, გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ აღნიშული დასაბუთება შესაბამისობაშია კოლეჯის მისიასთან და სტრატეგიულ გეგმასთან.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კულინარიის ხელოვნება“ დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია საბაზო განათლება, დაშვების პროცედურა კი გულისხმობს მოტივაციურ გასაუბრებას და უზრუნველყოფს ისეთ პირთა მიღებას, რომელთა ცოდნა და უნარები იძლევა პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას, პროგრამის განხორციელების ვადაში.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. დაწესებულების დირექტორის მიერ 2018 წლის 20 ივლისის N 04-357 (ცვლილება ბრძ. N04-142 - 11.11.2019) ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ-კოლეჯი ,,მერმისის“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი“, რომლის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაანგარიშების მეთოდოლოგია ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკას, ადამიანური და მატერიალური რესურსის რაოდენობას და მის სასწავლო პროცესში გამოყენების ინტენსივობას.

ზღვრული რაოდენობის დასაბუთების დოკუმენტით „კოლეჯს გააჩნია ორი სასწავლო სამზარეულო სახელოსნო, თითოეული სახელოსნოს რესურსი 72 საათია შაბათის ჩათვლით (36 საათი პირველ ცვლაში, 36 საათი მეორე ცვლაში), ჯამურად 2 სახელოსნოს რესურსია 144 საათი. მოდულური პროგრამის სასწავლო გეგმიდან გამომდინარე 1 ჯგუფისათვის მაქსიმალური კვირეული დატვირთვა 21 საათს არ აღემატება, რაც იძლევა თითოეულ სახელოსნოში 3-3 ჯგუფის გატარების საშუალებას, ანუ არსებულ 4 ჯგუფს დაემატება 2 ჯგუფი (40 ადგილი).

ამრიგად, „კულინარიის ხელოვნების“ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა გაზრდილი ზღვრული რაოდენობა შეადგენს 60 სტუდენტს ერთ ცვლაში, ხოლო ორ ცვლაში 120 სტუდენტს.“

ექსპერტებმა აღნიშნულის დასადასტურებლად დამატებით მოითხოვეს სასწავლო ცხრილები, აუდიტორიის დატვირთვის გრაფიკი, მასწავლებელთა დატვირთვის გრაფიკი, მიმდინარე სტუდენტების შესახებ ინფორმაცია. სასწავლო გეგმის ანალიზის და მიმდინარე სტუდენტების რაოდენობის (63 პროფესიული სტუდენტი, 3 ჯგუფი) საფუძველზე აღმოჩნდა, რომ 2 მიღება ერთმანეთს ფარავს 14 კვირით, რა პერიოდშიც წინა მიღების ფარგლებში სასწავლო სახელოსნოს დატვირთვა არის 21 საათი ჯგუფზე (3 ჯგუფის შემთხვევაში 63 საათი), ხოლო ახალი მიღების ფარგლებში 14 საათი (3 ჯგუფის შემთხვევაში 42 საათი). ორივე აუდიტორიის გამტარუნარიანობა ორი ცვლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

გათვალისწინებით არის 120 საათი, ხოლო სასწავლო გეგმის ანალიზის საფუძველზე დატვირთვა წარმოადგენს 105 საათს. აღნიშნულიდან გამომდინარე კოლეჯს შაბათი დღის დამატების გარეშეც შეუძლია არსებული სტუდენტების კვოტის ათვისება.

დაწესებულებას მოდულის „სასტუმროსა და რესტორნის-სამზარეულოს დასუფთავების მომსახურების უზრუნველყოფა“ მეორე და მესამე სწავლის შედეგი გატანილი აქვს საწარმოში, რასთან დაკავშირებითაც ხელშეკრულება აქვს დადებული ორ კომპანიასთან. ექსპერტები დაინტერესდნენ აღნიშნული საკითხითაც და ერთ კომპანიაში ვიზიტით, ხოლო მეორე კომპანიაში სატელეფონო გასაუბრებით დაადასტურეს აღნიშნული კომპანიების მზაობა სწავლის შედეგების მიღწევის ხელშეწყობაში. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აღნიშნულ ხელშეკრულებებს ვადა გასდიოდათ 2024 წლის 3 ივნისს, რასთან დაკავშირებითაც დაწესებულების წარმომადგენლებმა, ვიზიტის დასრულებამდე, წარმოადგინეს ხელშეკრულების ვადის გახანგრძლივება ავტორიზაციის ვადით.

ექსპერტები ასევე გაესაუბრნენ და ვიზიტი განახორციელეს იმ ორგანიზაციებში, რომლებთანაც დაწესებულებას მემორანდუმი აქვს გაფორმებული „საწარმოო პრაქტიკის“ ფარგლებში, კომპანიის წარმომადგენლებმა დაადასტურეს მზაობა სტუდენტების მიღების შესახებ.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „კულინარიის ხელოვნება“ დაწესებულების ბაზასა და პრაქტიკის ობიექტზე არსებული მატერიალური რესურსი შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტით განსაზღვრულ რეკომენდაციებს და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. შესაბამის მოდულებში მითითებული ლიტერატურა კი შეესაბამება სწავლის შედეგების მიღწევის მოთხოვნებს.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კულინარიის ხელოვნება“ მოიცავს არჩევით მოდულს „საწარმოო პრაქტიკა“, რომელიც ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კულინარიის ხელოვნება“ დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 6 მარტი N04-71 ბრძანებით (ცვლილება 04-101 11.05.2023). დირექტორის უფლებამოსილება დასტურდება სსიპ კოლეჯი ,,მერმისის“ ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების შესახებ“ კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 10 თებერვლის N 04-44 ბრძანების მე-4 მუხლის მე-5 პუნქტით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

7. პროგრამის სახელწოდება „კულინარიის ხელოვნება“ შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

8. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. შემუშავების საფუძველია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტანდარტი - „სასტუმრო, რესტორანი და კვება“ - სარეგისტრაციო ნომრით - 10117-პ. პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა (86 კრედიტი ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის, 101 კრედიტი არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის), პროგრამის ხანგრძლივობაა 66 სასწავლო კვირა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში განთავსებულია პროგრამის ძირითადი დოკუმენტი, მოდულები (3 ზოგადი მოდული, ჯამური 7 კრედიტის მოცულობით, 7 საერთო პროფესიული მოდული ჯამური 18 კრედიტი მოცულობის და 11 პროფესიული მოდული, ჯამური 55 კრედიტის მოცულობით და 1 არჩევითი მოდული 6 კრედიტის მოცულობით). სასწავლო გეგმები ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ.

   სასწავლო გეგმა ითვალისწინებს მოდულებით განსაზღვრულ წინაპირობებს, დაცულია პროგრამის ლოგიკური განვითარება, დროის შუალედები განმეორებითი შეფასებისთვის, შუალედური შეფასებისთვის, ასევე პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო დატვირთვა არ აღემატება დასაშვებ კვირეულ დატვირთვას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯი „მერმისი“ სტრატეგიული განვითარების გეგმა 2020-2026. დამტკიცებულია დირექტორის 2020 წლის 24 თებერვლის N 04-64 ბრძანებით;
2. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კულინარიის ხელოვნება“;
4. დირექტორის 2018 წლის 20 ივლისის N 04-357(ცვლილება ბრძN04-142;11.11.2019) ბრძანებით დამტკიცებული ,,სსიპ-კოლეჯი ,,მერმისის“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი“
5. პროგრამის განხორციელებისათვის განსაზღვრული მატერიალური რესურსის ჩამონათვალი;
6. პროგრამის განხორციელებაში გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

7. კოლეჯი „მერმისის“ 2022 წლის ინვენტარიზაციის მასალები;
8. სსიპ კოლეჯი ,,მერმისის“ ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების შესახებ“ კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 10 თებერვლის N 04-44 ბრძანება;
9. ინტერვიუირება.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის განსახორციელებლად კოლეჯს გამოყოფილი აქვს 3 A გარემოს, ერთი B გარემოს და 5 – C გარემოს ტიპის აუდიტორია. თითოეული სასწავლო გარემო განკუთვნილია 20 პროფესიული სტუდენტისთვის. სასწავლო გარემოში არსებული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის ვიზუალური დათვალიერებისას დადგინდა შემდეგი პირობები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

A გარემო 209 აუდიტორია: - გარემოში განთავსებულია 20 მაგიდა და 20 სკამი პროფესიული სტუდენტებისთვის. პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის არის მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, დაფა, პროექტორი.

A გარემო 302 აუდიტორია: - გარემოში განთავსებულია 20 მაგიდა და 20 სკამი პროფესიული სტუდენტებისთვის. პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის არის მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, დაფა.

A გარემო 410 აუდიტორია: - გარემოში განთავსებულია 20 მაგიდა და 20 სკამი პროფესიული სტუდენტებისთვის. პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის არის მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, დაფა, პროექტორი.

B გარემო 307 აუდიტორია: - გარემოში განთავსებულია 20 მაგიდა და 20 სკამი, საჭირო რაოდენობის კომპიუტერები პროფესიული სტუდენტებისთვის. პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის არის მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, დაფა, პრინტერი, პროექტორი.

C გარემო 203 აუდიტორია: - ეს გარემო განკუთვნილია მარაგებისთვის და მასში განთავსებულია მაცივრები, საყინულეები, სტელაჟები, ურიკები სხვადასხვა სახის და სხვა მარაგების მართვისთვის აუცილებელი აღჭურვილობა.

C გარემო 103 აუდიტორია: - ეს გარემო განკუთვნილია სამედიცინო ოთახისთვის და მასში განთავსებულია პაციენტის გასასინჯი ტახტი, ფიქსატორი მოტეხილობისთვის, დისტანციური უკონტაქტო ტემპერატურის საზომი, წნევის აპარატი და სხვა პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისთვის საჭირო აღჭურვილობა.

C გარემო 214 აუდიტორია: - ეს გარემო განკუთვნილია საპრეზენტაციო მიზნებისთვის და მასში განთავსებულია მაგიდები, სკამები, თეფშები, ჭიქები, ბოკალი, კარადები და სხვა საჭირო აღჭურვილობა.

C გარემო 201 აუდიტორია: - ეს გარემო განკუთვნილია სასწავლო სამზარეულოს მიზნებისთვის და მასში განთავსებულია მაყალი, ელექტრო ქურები, სლაისერი, ელექტრო გრილი, ჭურჭლის სარეცხი მანქანა, სველი წერტილები, კონვექციური ღუმელი და სხვა საჭირო აღჭურვილობა.

C გარემო 101 აუდიტორია: - ეს გარემო განკუთვნილია სასწავლო სამზარეულოს მიზნებისთვის და მასში განთავსებულია მაყალი, ელექტრო ქურები, სლაისერი, ელექტრო გრილი, ჭურჭლის სარეცხი მანქანა, სველი წერტილები, კონვექციური ღუმელი და სხვა საჭირო აღჭურვილობა.

აღნიშნული აუდიტორიები სრულად არის აღჭურვილი საჭირო მატერიალურ ტექნიკური ბაზით, ვიზუალური დათვალიერებისას N101 (C გარემო) აუდიტორიაში გამწოვი იყო არასწორ ადგილას დამონტაჟებული (არ იყო გაზქურების თავზე), რასთან დაკავშირებითაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულებას მიეცა *განმავითარებელი რეკომენდაცია, უზრუნველყოს გამწოვის სწორ პოზიციაზე მონტაჟი*. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენლები დაეთანხმნენ ექსპერტებს და აღნიშნული გარემოების სწრაფად აღმოფხვრის მზაობა გამოთქვეს.

მოდულის - საწარმოო პრაქტიკის ფარგლებში ექსპერტებმა მოინახულეს ორი პარტნიორი ორგანიზაცია შ.პ.ს. „სამი ჯგუფი“ (სასტუმრო ციტრუსი) და შ.პ.ს. „დაბი ჯგუფი ჯორჯია“ (სასტუმრო ბილთმორი), ასევე დისტანციურად გაესაუბრნენ შ.პ.ს. „ჯინო პარკს“, შ.პ.ს. „თავადურს“ და შ.პ.ს „ფიქრის გორას“ წარმომადგენლებს. თითოეულმა მათგანმა გამოთქვა მზაობა კოლეჯთან თანამშრომლობის ფარგლებში პროფესიული სტუდენტების სწავლების შესახებ.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კულინარიის ხელოვნება“ მოიცავს როგორც თეორიულ ასევე პრაქტიკულ მეცადინეობას. პროგრამის განხორციელებისთვის კოლეჯს განსაზღვრული ყავს 23 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის 7 ზოგად მოდულებზე, ხოლო 16 სხვადასხვა დარგობრივი მოდულების განმახორციელებლად. ექსპერტებმა შეისწავლეს პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვა და დაადგინეს, რომ განმახორციელებლების რაოდენობა და საათობრივი დატვირთვა უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე „კულინარიის ხელოვნება“ განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიული სტუდენტისთვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენცია, როგორც თეორიულ ასევე პრაქტიკულ ნაწილში, რაც დასტურდება მათ პირად საქმეში დაცული კვალიფიკაციის და გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტებით. თითოეულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვთ, როგორც დარგში მუშაობის გამოცდილება, ასევე სწავლების. ამგვარად, პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით. ექსპერტები გაესაუბრნენ განმახორციელებლებს, რომლებმაც აღწერეს პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარების მიდგომები.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამაში „კულინარიის ხელოვნება“ განსაზღვრულია შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელთანაც ასევე აღნიშნული ფუნქციები შეთანხმებულია მასთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში. პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ხელმძღვანელის პირად საქმით და მასთან ინტერვიუირებით დასტურდება მისი როგორც დარგობრივი, ასევე პროფესიული სტუდენტისთვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენცია. გასაუბრებისას დადასტურდა ასევე მისი ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცედურებში.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში „კულინარიის ხელოვნება“ მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის ელექტრონული სახით ან/და ბიბლიოთეკაში მატერიალური ფორმით. ექსპერტების მიერ შემოწმდა და დადასტურდა ბიბლიოთეკაში რესურსების არსებობა.

   ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-17 მუხლით განსაზღვრულია სსსმ პროფესიული სტუდენტებისთვის, მათი საჭიროებების გათვალისწინებით, დამატებითი მომსახურეობის გაწევის მექანიზმები. აღნიშნული მომსახურეობები გულისხმობს ჟესტური ენის თარჯიმნის/სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის/გადაადგილების მხარდამჭერის ჩართვას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დაწესებულებას განსაზღვრული აქვს როგორც მოდულის მოდიფიკაცია ან/და აკომოდაცია, რითაც ხდება სსსმ პირისთვის საჭირო დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურეობის დაზუსტება.

   ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულების მიერ შემუშავებული რეგულაციებით უზრუნველყოფილია სსსმ პირების პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან წვდომის შესაძლებლობა.

   ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

7. კოლეჯმა წარმოადგინა, როგორც გეგმიური ასევე კორექტირებული ბიუჯეტიც, სადაც გაწერილია შემოსავლების ნაწილი და ხარჯების ნაწილი. ხარჯების ნაწილი მოიცავს: ხელფასს, ნედლეულისა და მასალის ხარჯებს, უნიფორმის შეძენის და სხვა ხარჯებს. რენტაბელობის ზღვარი არის 6 პროფესიული სტუდენტი.

   კოლეჯის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. სწავლება ფინანსდება სამინისტროს მიერ, ვაუჩერულად.

   ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კულინარიის ხელოვნება“;
2. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
3. დაწესებულების დირექტორის მიერ 2018 წლის 20 ივლისის N 04-357(ცვლილება ბრძN04-142;11.11.2019) ბრძანებით დამტკიცებულია ,,სსიპ-კოლეჯი ,,მერმისის“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი“
4. პროგრამის განხორციელებისათვის განსაზღვრული მატერიალური რესურსის ჩამონათვალი;
5. პროგრამის განხორციელებაში გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი;
6. კოლეჯი მერმისის 2022 წლის ინვენტარიზაციის მასალები;
7. სსიპ კოლეჯი ,,მერმისის“ ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების შესახებ“ კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 10 თებერვლის N 04-44 ბრძანება;
8. ინტერვიუირება.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი;

06.06.2023
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------